4 (16) აგვისტოს 1867. № 31. მეორე წელიწადი.

# დროება

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გაზეთის ფასი:

მაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | მაუგზავნელათ:
ერთის წლისა — 7 მან. | — — — 6 მან.
ნახევრის წლისა — 4 — | — — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ. | — — — 2 —
ცალკე ერთის ნუმრისა, გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში.
ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განცხადება.

20 ივლისიდამ მელიქიშვილის და კამპ. სტამბა და „დროების“ რედაქცია იმყოფება ხანის ქუჩაზე, პოლიციის გვერდით, თავ. მიხეილ ბებუთოვის სახლებში.

---

**რედაქციისაგან.**

ხელის-მოწერა „დროებაზედ“ ყოველთვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება **პირველისავე ნუმრიდამ.**

---

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროების“ ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუციათ, შემოიტანონ ეს ფული.

---

**შინაარსი:** მმართებლობის განკარგულება. — „დროების“ კორრესპონდენცია: ოზურგეთიდგან. — პოლიტიკა: ანგლია, ფრანცია, იტალია. — ტელეგრამმები. — სალიტერატურო ნაწილი: საშვალო აზიაში მოგზაურობა. — ლექსი. — სახაზინო და კერძოობითი განცხადება. — საბიბლიოგრაფიო ცნობა.

---

### მმართებლობის განკარგულება, ბრძანება კავკასიის ნამესტნიკის სამმართველოში.

12 ივნისს 1867 წელს, ბორჯომში. **დაინიშნებიან:** უფროსი წევრი გაუქმებულის სამეგრელოს სამმართველოს რჩევისა, პოლკოვნიკი მაჭავარიანი — საქმის — მაწარმოებელ წევრათ ქუთაისის გუბერნიის საგლეხო სასამართლოში. ნადვორნის სოვეტნიკები: მმართველი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის გაუქმებულის კანცელარიისა თ. აბაშიძე — საქმის — მაწარმოებელ წევრათ ქუთაისის გუბერნიის საგლეხო სასამართლოში და მიროვის პოსრედნიკი სენაკის უეზდისა 5-თე (ბორდის) განყოფილებისა ბაბუნია — წევრათ ამავე სასამართლოში ზუგდიდის, სენაკის და ლეჩხუმის უეზდების აზნაურობის მხრით. პადპორუჩიკი დადიანი - წევრათ ქუთაისის გუბერნიის საგლეხო სასამართლოში ზუგდიდის, სენაკის და ლეჩხუმის უეზდების აზნაურობის მხრით. პრაპორშჩიკი თ. ფალავა — მიროვის პოსრედნიკათ სენაკის უეზდისა 5-თე (ბორდის) განყოფილებისა. **გადიყვანება:** შეკვეთილის საკარანტინო — დამოჟნის ზასტავის ექიმი, ნადვორნი სოვეტნიკი მაცი — რაჭის უეზდის ექიმათ. **დაითხოვებიან:** ქუთაისის გუბერნიის მიროვის პოსრედნიკობის კანდიდატის წოდებიდგან: სენაკის უეზდის ნაჩალნიკის თანაშემწე, პორუჩიკი ჩიქოვანი, ზუგდიდის უეზდის სასამართლოს მთარგმნელის თანამდებობის აღმასრულებელი, გუბერნსკის სეკრეტარი ალშიბაია და ზუგდიდის უეზდის ნაჩალნიკის თანაშემწე, კოლლეჟსკის რეგისტრატორი მარჯანიშვილი. ესენი ყველანი თავიანთს თანამდებობაში დარჩებიან.

---

### „დროების“ კორრესპონდენცია.

მე არ შემიძლიან, რომ თქვენის გაზეთის მკითხველებს არ თანავუზიარო ჩემი სასიამოვნო გრძნობა, რომელიც წარმოსდგება ჩემის ხშირის მოგზაურობისაგამო ოზურგეთის უეზდში, როდესაც მე ვხედავ ხოლმე ცხადს ნაყოფს გლეხების განთავისუფლებისას.

რასაკვირველია, ვისაც მოუვიდა პირველათ ჰაზრი გლეხის განთავისუფლებისა, იმას ჰქონდა სახეში საზოგადოთ მისი ბედნიერება და სხვათა შორის პირველათ განათლება, რადგანაც იმისგან წარმოსდგება გლეხის კეთილი აზრი თავის ოჯახობაზე, მისი საზოგადოებაში მდგომარეობაზე და საზოგადო საქმის კეთილწარმატებაზე.

ოზურგეთის უეზდში, (გურიაში), როგორც სხვაგანაც, გაიხსნა სასოფლო საზოგადოება, მათი მსაჯულობა და სხვ., და ამ მოკლეს დროში გამოჩნდა ამ მართებლობისაგან მინიჭებულის გლეხთადმი ზომიდგან დიდი სარგებლობაც. მე მოკლეთ გაცნობებთ, რაში მდგომარეობს ეს სარგებლობა.

პირველათვე სასოფლო საზოგადოებამ ბევრგან ამოირჩიეს მამასახლისები და სხვა თანამდებობის პირები ღირსეულათ. ამას ვამბობ, ამიტომ რომ მათგან ბევრთან მქონდა მე შემთხვევა ლაპარაკისა და დავრწმუნდი, რომ მათ (მამასახლისებს და სხვა პირებს) შეუძლიანთ ადვილათ გაიგონ ის ბედნიერება, რომელიც გლეხებს მიენიჭათ და წარმართონ მათი საქმე კარგათ.

აი რა ნაყოფი შევნიშნე მე გლეხების საზოგადოებისაგან ოზურგეთის უეზდში:

1. ბევრგან სოფლის საზოგადოებამ, მამასახლისის წინამძღვარობით, გააკეთეს გზები, ბოგირები, ასე რომ, ვისაც ხშირათ შეხვდება მოგზაურობა, ცხადათ დაინახავს, რომ უწინდელივით აღარ ეშინიან ცხენის ტალახში ჩაფლობისა, თხრილში ჩავარდნისა. მე ნამდვილათ ვიცი, რომ ყოველს სოფლის საზოგადოებას სურს, მოწადინებული არის და კიდევაც გააკეთებს გზებს მალე, ასე რომ სადაც ცხენი უწინ ძლივს დადიოდა, ახლა ურმებიც ივლიან.

2. სასოფლო მსჯელობა ძალიან კარგათ მიდის. ისეთი საქმეები თავდება რამოდენსამე საათში, რომელსაც უწინდელ დროში მოუნდებოდა რამოდენიმე წელიწადი. მაგალითად მე დავესწარი ერთს სასოფლო ყრილობაში. ამ სოფლის საზოგადოებას შეენიშნა, რომ ერთი ამ სოფლის მცხოვრები იყო ქურდი და ავაზაკი და ბოლოსდროს მოეპარა ხარები. ამ უკანასკნელის მიზეზისა გამო სოფლის საზოგადოებამ ყრილობა მოახდინა. ერთხმათ გარდასწყვიტეს, რომ ის ქურდი გადაასახლონ სადმე სამის წლის ვადით. ამ ყრილობაში ერივნენ მისი ნათესავები და მახლობელნი, მაგრამ ერთი ხმა არ ყოფილა ამ გარდაწყვეტილების წინააღმდეგი. მაშა სადამე ჩვენს გლეხებს ესმისთ, რომ თუ გინდა ძმა იყოს, თუ კი საზოგადოებისათვის მავნებელია, უნდა დაისაჯოს.

3. ბევრმა სასოფლო საზოგადოებამ, დაწესებისათანავე საზოგადოებისა, იფიქრეს ყმაწვილების სწავლა. გააკეთეს კარგი სასწავლებლები, დანიშნეს მასწავლებლები და ყველას, ვისაც კი ჰყავს შვილი, დიდის სიხარულით მიჰყავს სასწავლებელში. მე გიამბობთ ერთს შემთხვევას. სოფლის შემოქმედის მამასახლისი ხსნიდა სასოფლო სასწავლებელს. სხვათა შორის მეც მიმიწოდა დასასწრებათ. შემდეგ სასწავლებელის კურთხევისა, მამასახლისმა მიიწოდა ბევრი პირები თავის სახლში, სადაც ჰქონდა მომზადებული ჩინებული სადილი თავის საკუთარის ხარჯით. ამ სადილზე დიდი მხიარულება იყო და ხშირათ სმიდენ იმ სასწავლებლის წარმატებისათვის. ამ დროს იქ დამსწრე პირებმა შესწირეს ფულები იმ სასწავლებლის სასარგებლოთ. ყველას ცხადათ ეტყობოდა, რომ ამ სასწავლებლის გახსნა მათთვის დიდი სასიამოვნო იყო. ის შკოლა არის ერთი დიდი, სუფთა და ლამაზი ოთახი ფიცრისა; შიგ ბევრი ლამაზი გძელი სტოლებია ყმაწვილების დასაჯდომათ და პატარა სტოლი თავის სკამით მასწავლებლისათვის; გარდა ამისა დიდი საწერი დოსკა. ეს ყველა გაკეთებულია სოფლის ხარჯით. დღეს იმ შკოლაში ირიცხება სამოცი ყმაწვილი, მათ შორის სამი პატარა ქალები. როგორც მითხრა იქაურმა მასწავლებელმა, ჯერ ერთიც არ დაჰკლებია არც ერთს დღეს სწავლას. წარსრულს დღეებში ვიყავი იმ სასწავლებელში სადამოზედ და ვნახე დოსკაზე დაწერილი ციფრები — პირველი მოქმედება არითმეტიკისა. ციფრები იყო ლამაზათ ნაწერი და მასწავლებელმა დამარწმუნა, რომ ამ პირველს მოქმედებას არითმეტიკისას აკეთებენო ყმაწვილები.

ღმერთმა ხელი მოუმართოს! ამ ორის თვის განმავლობაში ხედავთ რა მოხდა ოზურგეთის უეზდში და შემდეგშიაც იმედია, რომ თანდათან იკეთებს საქმე.

ვ. ზამრეკელი.

18 ივლისს, 1867 წელს.
ქ. ოზურგეთი.

---

## პოლიტიკა.

**ანგლია.** ბილლი რეფორმაზედ. 3-ს (15) ივლისს ანგლიის ქვემო პარლამენტში მესამეთ წაიკითხეს ბილლი ამორჩევითს რეფორმაზედ. შესანიშნავი ის იყო, რომ ბაასის დროს ბილლის მხარე ეჭირათ კონსერვატორს დიზრაელის, ხაზინის კანცლერს, და რადიკალს ბრაიტს; ხოლო ლიბერალი ლოუ ლაპარაკობდა იმის წინააღმდეგ. ბილლის რედაქციაში მესამე წაკითხვის დროს მხოლოთ ორი თუ სამი სიტყვა შესცვალეს სხვა გლადსტონისაგან წინადადებულის ლექსებით. ამას შემდგომ ქვემო პალატამ დიდის ალტაცებით და ტაშის კვრით ერთხმათ მიიღო ეს ბილლი.

**ფრანცია.** ნემეცურს გაზეთში Neue Freie Presse, 18 ივლისიდგან სწერენ: ფრანციაში შეიარაღების დაშურებას ის ამტკიცებს, რომ ფრანცუზებმა ახლად გაამზადეს 23 ბატარეა. ალჟირიდგან მოსულნი ამტკიცებენ, რომ ალჟირის კიდეებზედ ძალიან დიდ სიმაგრეებს აშენებენო. ცხადია, ფრანცუზებს ისინი მარტო იმისთვის არ უნდათ, რომ შინაურს მტერს გაუმაგრდნენ. ფრანციის მმართებლობა ცხენებს კიდევ ყიდულობს. Journal de Paris-ში არის მოხსენებული ბროშურა (პატარა თხზულება), ბერლინში დაბეჭდილი, რომელსაც თავზედ აწერია: ფრანციის ჯარის მდგომარეობა 1867 წელში. როგორც ამბობენ, ეს ბროშურა თვითონ გრაფმა ბისმარკმა დაბეჭდინა და აფიცრებს დაურიგა. იმან ამგვარივე ბროშურა ავსტრიასთან ომის დაწყების წინათ წარსულს წელსაც შეადგენინა ავსტრიის ჯარის შესახებ და დაურიგა აფიცრებს. — **ბერეზოვსკის პროცესი.** ფრანცუზულს გაზეთიდგან „France“ გამოვკრებთ შემდომს ცნობებს ბერეზოვსკის პროცესზედ, რომელიც პარიჟის საკრიმინალო (სისხლის სამართლის) სამსჯავროში მოხდა 15 ივლისს. „დიდძალი ხალხი მოაწყდა ამ სამსჯავროში 15 ივლისს. 11 საათის ნახევარზედ დამნაშავე სამსჯავროს ზალაში შემოიყვანეს. ეს არის ფერ-მკრთალი ყმაწვილი კაცი; იმას შუბლი აქვს მაღალი და სწორე, თმა წაბლის ფერი; პირი მრგვალი და ახლად ამწვანებული წვერ-ულვაში. მარცხენა ხელი ჩამოკიდებული ჰქონდა აბრეშუმის სახვევით. როცა ზალაში შემოვიდა, იმან ღიმილით შეხედა თავისს ადვოკატს და რამდენიმე სიტყვა უთხრა; იმან დაუკრა აგრეთვე თავი თავის ნაცნობებს.

12 საათის მეოთხედი იყო, როდესაც პროცესი დაიწყო. დამნაშავეს გამამტყუნებელი იყო გენერალ-პროკურორი, უფალი მარნა, ხოლო დამცველი-ადვოკატი ემანუელ არაგო. როცა ნაფიცებმა (*) დაიფიცეს, პრეზიდენტმა რეგისტრატორს წააკითხა გამამტყუნებელი აქტი. მერმე იმან დაურიგა ნაფიცებს იმ ადგილის პლანი, სადაც ბოროტ-მოქმედება მოხდა, და შემდგომ დამნაშავეს გამოკითხვა დაუწყო.

პრეზიდენტი. თქვენ დაბრუნდით უაზის დეპარტამენტიდგან პარიჟში 1 ივნისს, ორს საათზედ, ჩრდილოეთის რკინის გზით და დარჩით დებარკადერზედ რუს-ხელმწიფის მოსვლამდის? — დამნაშავე. დიახ, მე ის დებარკადერზედ ვნახე. — პრეზ. იქ რისთვის იყავით? — დამ. რომ მენახა, შესაძლებელი იყო თუ არა იმისთვის შური მიმეგო იმისი საქმეების გულისთვის, და რომ იმას არ გაეუწმინდურებინა ფრანცია იმის მიწაზედ ფეხის დადგმით. (მოძრაობა). პრეზ. ამ ჟამათ განიზრახეთ ხელმწიფის მოკვლა? — დამ. ამ ჟამათ და წინათაც ბევრჯელ მომსვლია ეს აზრი, — მე ყოველთვის ვფიქრობდი იმის შურის გებას ჩემი მამულის გულისთვის. როცა პოლშაში ვიყავი, მე იმის მოკვლას არა ვფიქრობდი; ძალიან კარგათ ვიცოდი, რომ მაშინ ამის შესრულება შეუძლებელი იყო და როცა მე ფრანციაში ხელმწიფის მოკვლის შემთხვევა მომეცა, მე მაშინვე გადავსწყვიტე ამის ასრულება. პრეზ. თქვენ ისარგებლეთ ფრანციის მასპინძლობით და განიზრახეთ ხელმწიფის მოკვლა. თქვენ აგრეთვე პატივი არ ეცით მასპინძლობას, რომელიც იმპერატორმა ნაპოლეონმა მიაგო თქვენს ხელმწიფეს. — შეატყობინეთ ვისმეს თქვენი განზრახვა? — დამ. არავისთვის არ შემიტყობინებია. — პრეზ. ეს საკვირველია. თქვენ ბევრი ნაცნობები გყავთ. — დამ. მე მეშინოდა, არავის გავეცე და ამისთვის არავისთვის მითქვამს. — პრეზ. გამომძიებლები გულსმოდგინედ ცდილობდნენ და ვერ იპოვეს

---

(*) ევროპის სამსჯავროებში სისხლის სამართლის საქმის გადაწყვეტის დროს დაესწრებიან ხოლმე ხალხისაგან ამორჩეულნი პირნი (ჩვეულებრივ 12 კაცი), რომელთაც ნაფიცებს ეძახიან (რუსულათ присяжные, ფრანცუზულათ jurès). ამ პირებმა დაფიცების და საქმის მოსმენის შემდგომ სვინიდისის ქვეშ უნდა წარმოსთქვან: დანაშაულია თუ არა სამართალში მიცემული კაცი. თუ იმათ სთქვეს, დანაშაული არ არისო, იმ კაცს მაშინვე სამართლისაგან გაანთავისუფლებენ; თუ თქვეს, დანაშაული არისო, მაშინ მსაჯულები კანონისამებრ გადუჭრიან მას სასჯელს.

თანამოზიარენი ამ საქმეში. 3-ს ივნისს თქვენ წახვედით შესაწევარის ფულის მისაღებათ, რომელიც ფრანციიდგან გეძლეოდათ, რომ იმითი გეყიდნათ დამბაჩა, რომლითაც გინდოდათ თქვენი ბოროტ-განზრახვა აგესრულებინათ. შემდგომ ოპერაში შეხვედით შესატყობათ, იქმნება თუ არაო ხვალ აქ რუსის იმპერატორი?—დამ. დიახ, მე მეორეს დღეს შევედი ოპერაში იმ განზრახვით, რომ შემეტყო, შეიძლება თუ არა ხელმწიფესთან ახლოს მისვლა.—პრეზ. 4-ს ივნისს თქვენ ოპერის კარებზედ იდექით და ხელმწიფის გამოსვლას ელოდით?—დამ. დიახ, მე ელისეს სასახლემდისაც მივყევი იმასა ამ ძახილით: vive L'empereur! ვცდილობდი ორივე იმპერატორები დამენახა და ერთი მეორისაგან გამერჩივა.—პრეზ. თქვენ ბრუნნეელისაგან იყიდეთ დამბაჩა; ისინი ერთ-ლულიანს გაძლევდნენ და თქვენ ორ-ლულიანი მოინდომეთ. ასე რათ ჰქენით?—დამ. ამისთვის რომ მე მინდოდა პირდაპირ გულში მომერტყა რუს ხელმწიფისთვის.—პრეზ. დამბაჩაში თქვენ 8 ფრანკი მიეცით?—დამ. არა, 9 ფრანკი; მაგრამ ეს არაფერია.—პრეზ. 6 ივნისს თქვენ ნახეთ იმპერატორის ეკიპაჟი, რომელიც მიდიოდა ხეივნებისაგან გადაჯვარედინებულს გზაზედ, ტბისკენ. ეკიპაჟი, რომელშიაც ისხდნენ ორივე იმპერატორები და დიდი მთავრები მიდიოდა ნაბიჯით. დამ. მე ეგ ვერ შევნიშნე.—პრეზ. მარცხენა ხეივანი ხალხით და ეკიპაჟებით სავსე იყო და ამისთვის იმპერატორმა ნაპოლეონმა ბრძანა, რომ ეკიპაჟი მარჯვენივ გააბრუნონ და ძალწულის ხეივანში გაატარონ. მაშინ თქვენ გაირბინეთ აუზის ბოლოზედ და ძალწულის ხეივნისგან და აუზისაგან გადაჯვარედინებულს გზაზედ დასდექით. იქ ცოტა ხალხი იყო. საიმპერატორო ეკიპაჟი მიდიოდა ნაბიჯით, და თქვენ ახლო მიხვედით?—დამ. უფ. პრეზიდენტო, ეგ ყველა არ მახსოვს, ამისთვის რომ მე მხოლოდ იმას ვფიქრობდი, რომ ხელმწიფისთვის დამბაჩა მესროლა.—პრეზ. თქვენ რომელს დაუმიზნეთ თქვენი დამბაჩა?—დამ. დავუმიზნე მხოლოთ რუს ხელმწიფეს.—პრეზ. თქვენ დაიჭერით მაშინ? დამ. დიახ, და იმავ წამს ცნობა მიმეღო. პრეზ. თქვენ დაგიჭირეს; ყვირილს აპირობდით, მაგრამ დაგიშალე'ს.—დამ. მე მინდოდა დამეძახნა: პოლშას გაუმარჯოს!—პრეზ. დიახ, მაგრამ პოლიციელმა თქვენ პირზედ ხელი დაგაფარათ, და თქვენი ხმა მარტო ნახევრათ ღა მოისმა.—დამ. მინდოდა გამეგებინებინა, რომ მე დამბაჩა პოლშის გულისთვის ვესროლე.—პრეზ. თქვენის დამბაჩიდგან მარტო ერთი ტყვია გამოვარდა, თქვენ ესროლეთ წინადგან უკან?— დამ. არ ვიცი, მე რუს ხელმწიფეს თავში დავუნიშნე. მე ძრიელ კარგათ ვიცოდი, რომ თუ დავუმიზნებდი, მოუკვლელს არ გაუშვებდი იმას.—პრეზ. რა უფლება გქონდათ, რომ ხელმწიფეს ჰკლავდით?— დამ. მე უფლება მქონდა (აშფოთებულის ხმით). იმან მოჰკლა ჩემი სამშობლო, იმან ამოსწყვითა იმის მცხოვრებლები. ძალმის მოსმით, იმან ყველანი ციმბირში დაგზავნა, და ყველა ამის მნახველს, განა ნება არა მქონდა იმისთვის მაგიერი მექნა.—პრეზ. თქვენ ნება არა გქონდათ მაგისთანა საქმე გეკისრათ; ეგ თქვენ არ გეკუთვნოდა.—დამ. უფ. პრეზიდენტო, სამშობლოს ტანჯვით დაჩაგრულმა გულმა გამაბედვინა მე ეს საქმე.—პრეზ. მაგრამ, თუ თქვენ რუსეთის იმპერატორი თქვენ ხელმწიფეთ არ მიგაჩნდათ.... დამ. ოჰ, არა.—პრეზ. მაშ თქვენ ის არ შეგეძლოთ თქვენ მოყვასათ არ შეგეწყნარათ, მოყვასის მოკვლაზედ კი არა ვის უფლება არა აქვს. დამ. რუს-ხელმწიფე! ის ჩემი მოყვასი სრულებით არ არის. ღმერთმან იცის, იმას რა სახელი უნდა ეწოდოს, რუს ხელმწიფეს. არ შეიძლება იმის სახელს პატივი ეცეს.—პრეზ. თქვენ აქ ხელმწიფის მოკვლის თეორიის დამტკიცებას ცდილობთ. ღმერთმა კაცის-კვლა აგვიკრძალა.—დამ. მე ღმერთი არა ვარ...პრეზ. რასაკვირველია თქვენ ღმერთი არახართ. (სიცილი, რომელიც მაშინვე შეაწყვეტინეს). გამოკითხვის დროს თქვენ თქვით, რომ სასჯელი ხელმწიფეს თქვენ თვითონ განუჩინეთ. თქვენ უფლება არა გაქვთ ხელმწიფეების განკითხვისა? დამ. რუს ხელმწიფე ჩვეულებრივის სიკვდილით რომ მომკვდარიყო, ღმერთი იმას ჯოჯოხეთში გაგზავნიდა, მაგრამ ჩემის ხელით რომ მიეღო სიკვდილი, ცოდვას აქვე მოინანიებდა, და იმ ქვეყანაში მაშინ ის ბედნიერი იქნებოდა.—პრეზ. თქვენი ტყვია სხვას რომ მოხვედრიყო გულში?—დამ. მე ძრიელ კარგათ ვიცოდი, რომ ჩემი ტყვია ფრანციის იმპერატორს არ შეეხებოდა.—პრეზ. მაგრამ უფ. რემბოს ცხენი რომ ეკიპაჟს არ მოფარებოდა, იცით თქვენი ტყვია ვის მოხვდებოდა? გამოძიების დროს გამოკითხვაში თქვენ თქვით, რომ პოლშელის ტყვიას ფრანციის იმპერატორის მოკვლა არ შეეძლოო; მაგრამ ეს ხომ ცარიელი ფრაზაა, და არა პასუხი. ძუჩერს რომ ცოტა ეკიპაჟი გაეჩქარებინა, მაშინ უფ. რემბოს ცხენი უკან დარჩებოდა და თქვენ ფრანციის იმპერატორს მოჰკლავდით.—დამ. არა, არა; მე ჩემს დამბაჩას გაბედვით ვერწმუნებოდი (ხალხის მოძრაობა). შემდგომ დამნაშავის კითხვის ჩამორთმევისა დაუწყეს გამოკითხვა მოწმებს. იმათ ეს ჩვენება მისცეს: უფ. რემბო (ოცდა ათის წლისა, იმპერატორის შტალმეისტერი). როდესაც ჯარის გაშინჯვიდგან დავბრუნდით, მე მივსდევდი მარცხნივ კარებთან ეკიპაჟს, რომელშიაც ისხდნენ ორი იმპერატორი და დიდი მთავრები. გზაზედ მე შევნიშნე კაცი, რომელიც ორივე ხელებს იქნევდა და ეკიპაჟისკენ მოდიოდა; მე ცხენს დავკარ და ამ დროს დამბაჩაც გავარდა, ჩემი ცხენი თავში დაიჭრა და სისხლმა ეკიპაჟში შესხა. ცხენს ტყვია ნესტოებს და თვალს შუა მოხვდა, და ბევრი სისხლის დენისგან ის ძრიელ დასუსტდა, ასრე რომ რამდენიმე ნაბიჯი რომ გადაადგა, იძულებულ ვიყავ ჩამომხდარვიყავ. ტყვია მიდიოდა ხელმწიფეების ზურგის პირდაპირ.—პრეზ. უფ. რემბო, თქვენ ააცდინეთ ტყვია ფრანციის სტუმარს; სამსჯავროს წევრებს არ შეუძლიანთ არ მოგილოცონ თქვენ ეგა.—უფ. ბაննო. მე წაველი ბულონის ტყეში ჯარის შინჯვის სანახავათ; ჩანჩქერის ახლოს გავიარე და იქ ვნახე, რომ იმპერატორი მოდიოდა. ამ მინუტში დამბაჩა გავარდა და ჩემს თვალებს წარმოუდგა უცნობი კაცი, ხალხ თავს დასხმული, თავ—ჩაკიდებული, ფერმიხდილი. ის იყო დაჭრილი; მე შევახე იმას ხელი და წარმოვსთქვი: „აი კაცის-მკვლელი“.—პრეზ. რის ძახილი მოისმოდა მაშინ?—უფ. ბაննო. პირველს მუნუტში მოისმა ხმა: „vive L'empereur!“ შემდგომ ოთხკუთხივ დაიძახეს: მოვკლათ, მოვკლათ ამის პასუხათ მე დავუძახე: თავი დაანებეთ, სამსჯავროში მისცემს პასუხს!“—პრეზ. არაფერი უკეთესი არ შეგეძლოთ გექმნათ.— ლუბერი (ჟან—შარლ, ორმოცდა ორის წლისა, პარიჟისა მცველების კაპიტანი). უფ. ლუბერმა დაამტკიცა წინათ თქმული ამბავი დამბაჩის სროლაზედ, და დაწვრილებით უამბო თავისი ხალხთან ბრძოლა თითქმის ოცი მინუტის განმავლობაში ბერეზოვსკის იმათ ხელიდგან გამოსაცლელათ.—ბარენ-დე-პრესლმა (ერნესტ—ავგუსტ, ორმოცდა ერთის წლისა—პარიჟის ცხენოსანი მცველების კაპიტანი) მისცა ჩვენება, რომ ის ზემოხსენებულს მოწამეს ეშველებოდა დამნაშავეს ხალხის ხელიდგან გამოსაცლელათ, რომელსაც იმის დახრჩობა უნდოდათ, ან, როგორც ისინი ყვიროდნენ, იმისი შუაზედ გაგლეჯა, და ძლივს ძლივით ხალხს თავი დავანებებინეთ იმისთვის.—პრეზ. უფ. კაპიტანო, თქვენ ვაჟკაცურათ აგისრულებიათ თქვენი ვალი, როგორც ასრულებენ ხოლმე ყველა თქვენის მუნდირის მტარებლები.—სხვა მოწმებმაც სთქვეს, ვისაც რა ენახათ.—ამის შემდგომ დაუწყეს გამოკითხვა იმ მოწმებს, რომლებიც გამოძიების საქმეში იყვნენ ნაჩვენებნი.—ბროშესკიმ (ვოლინის ულანის პოლკის პოდპოლკოვნიკი) მისცა შემდგომი ჩვენება: „ბერეზოვსკი ჩემს პოლკში ყველაზედ უკეთესი სალდათი იყო. მარჯვე, კეთილი, სამსახურის ერთგული, ამხანაგების და უფროსების საყვარელი. იმაზედ ყურადღება მქონდა მიქცეული უფრო იმისთვის, რომ ის მთელს პოლკში ყველაზედ პატარა იყო და ამასთან საშინელი გულს—მოდგინე იყო პოლშის საქმეში. რევოლუციის დათრგუნვის დროს, ისრე ტიროდა, როგორც პატარა ყმაწვილი, რომელსაც დედა მოუკვდა. ჩვენ ვურჩიეთ იმას ხელობაზედ სადმე მიჰბარებოდა; ის ლიტიხში წავიდა და იქ ფაბრიკაში შევიდა. ის მხოლოთ ორს ხალხს იცნობდა: თავისს საკუთარს და და ერთს სხვას, რომელიც ხანდისხან ჩვენ გვეხმარებოდა. აი ამისთვის მოვიდა ის ფრანციაში. ყოველი იმისი მოქმედება და ყოველი ფიქრი იმ აზრისაკენ იყვნენ მიქცეულნი, რომ პოლშის განთავისუფლება ენახა. სწავლის შესასრულებლათ იმან შეაგროვა 185 ფრანკი იმ 5 ფრანკიდგან, რომელსაც ყოველდღე მუშაობით იღებდა. გულსმოდგინებით კითხულობდა წიგნსა, რომელსაც ხელში ჩაიგდებდა, განსაკუთრებით იმ თხზულებაებს, რომლებშიაც მამულის სიყვარული იყო გამოხატული.—პრეზ. ხომ არ შეუტყობინებია თქვენთვის თავისი განზრახვა?—ბროშესკი. არა, მე მაშინ იმას მოვაშლევინებდი იმის განზრახვას.—პრეზ. მე არ ვიჭვნეულობ მაგაში.—ფროჩესკი. მე ვიცნობ ბერეზოვსკის იმ დღიდგან, როცა ის თექვსმეტის წლისა ჩვენს სარევოლუციო ბანაკში მოვიდა. რევოლუცია რომ გათავდა, ჩვენ ერთად წავედით გალიციაში. ის იყო მაშინ ისევ ყმაწვილი, მაგრამ კეთილ—გონიერი და ძალიან მორჩილი. გალიციაში ის შეაწუხა უბედურებამ, რომელიც ჩვენს მხარეს ეწია. შემდგომ ხელოსნობა დაიწყო. ის ყოველთვის ღვთისნიერი იყო, მაგრამ სარწმუნოებამ თავისის მამულის უბედურება ვერ დაავიწყა. ბოლოს ჰკითხეს პანსიონის დირექტორს უ. ჟოფრეს. იმან ბერეზოვსკიზედ ესა სთქვა, რომ ბერეზოვსკი ჩემთან ერთმა პოლშელმა პოლკოვნიკმა მოიყვანაო; ჩემს პანსიონში ის შვიდი თვე იყო და ამდროს განმავლობაში ის ძრიელი მეცადინეობდაო და წრფელი ღვთის-მოყვარეობა ამოაჩინაო; თავისის ამხანაგების და უფროსების საყვარელი იყოო.

(შემდეგი იქნება).

---

**იტალია.** გარიბალდის წიგნი. დიდიხანი არ არის, რაც ტურინის გაზეთში დაიბეჭდა სტატია იმ აზრით დაწერილი, რომ გაამაგრონ და აქონ რომის წინააღმდეგი მეცადინეობა ხალხის ერთობის სახელით. ეხლა გარიბალდიმაც გაუგზავნა ამ გაზეთს წიგნი, რომელშიაც ის ამბობს: „მე თვითონ მივიღებ მონაწილეობას რომის განთავისუფლებაში. უ რომოთ იტალიის ერთობა შეუძლებელია. რომში რევოლუცია აუცილებელია. ყოველი რევოლუცია, თუმცა კი ვიცით სად და როგორ დაიწყება, მაგრამ ეს კი არ ვიცით, სად და რით გათავდება. დიახ, უფალო რედაქტორო, მე თქვენ გაქებთ იმისთვის, რომ მართალი საქმის მხარე გიჭირავთ; რომის აგიტატორების უსაფუძვლო განკიცხვის მაგიერ თქვენ წარმოსთქვით, რომ რომის მოძრაობა ძალიან საჭირო არისო. ეს ძალიან მოსაწონია. მე ვფიქრობ, რომ რომაელებს სამღრთო ვალი აქვთ მოიშორონ, რაც შეიძლება მალე საზიზღარის მონაობის უღელი, რაგვარათაც შეიძლებოდეს. იტალიელებსაც აქვს საღმრთო ვალი, რომ ყველანი შევიწროვებულს ძმებს მიეშველნენ. ჩემი მეგობრები და შვილები უარს არ იტყვიან იბრძოლონ რომის დიდის საქმისთვის.“

—**პოლშელების ემიგრაცია.** მოსკოვის ვედომოსტში გადმობეჭდილია [illegible] გაზეთიდგან „ვარშავის სადღეო“ შემდგომი ცნობა: „პოლშელების ემიგრაციის უმეტესი ნაწილი ცდილობს ახლათ მოახდინოს ხალხის ღელვა ყველა მაზრებში, რომლებიც კი როდისმე პოლშას ეკუთვნოდნენ. ბინათ გალიცია აირჩიეს და იქ აგროვებენ ყველა საჭირო საშუალებას. ამას მარტო ისინი ვერა ხედავენ, ვისაც დანახვა არა სურთ. იმათი დაწყობილება ემგზავსება ადრინდელს ზალევსკის დაწყობილებას. პოლშელები ფიქრობენ, რომ ან ევროპის საყოველთაო რევოლუცია და ან ომი, რომელსაც დასავლეთი, შუაგული და სამხრეთი ევროპა აუტეხს რუსეთს, აღასრულებინებს იმათ თავიანთს წადილს. ემიგრანტების უპირველესი მეცადინეობა ის არის, რომ გალიციის შლიახტა (კეთილ-შობილობა) მიიმხრონ. პოლშელებს ფული ძლიერ დასჭირდებათ და შლიახტა, რადგანაც დიდი მამულის-პატრონი არის, იმათ ხელს გაუმართავს. ახლო არის ის დრო, როდესაც რევოლუციონერები თავისს საემიგრაციო გაზეთებში მოიხმარებენ აქაურ შლიახტაზედ თავისს ჩვეულებრივს საშუალებას. ამისთვის საშიშარია, რომ ემიგრანტები ჩვენს მხარეშიაც არ შემოვიდნენ. თუმცა მთავრობა ფხიზელია, მაგრამ გამოცდილებიდგან ვიცით, რომ იმათი წინამძღომელები ისრე დახელოვნებულნი არიან შეთქმულებაში, რომ თვით საუკეთესო პოლიციაც ქვეყანაზედ არაფერია იმათთვის.“

---

## ტ ე ლ ე გ რ ა მ მ ე ბ ი,

პეტერბურგში მიღებული.

**ვენა**, 7 (19) ივლისს. დღეს გაზეთში „Neue Freie Presse“ სწერენ, რომ ავსტრიის მმართებლობამ მისწერა თავისს კონსულს გალაცში, დაუყოვნებლივ მისცეს რუმინიის მმართებლობას წარდგინება გალაცში ურიების ბარბაროსულათ მდევნელთ დასჯაზედ და იმაზედაც, რომ შემდგომში მოისპოს ამისთანა ბოროტ-მოქმედება.

**კონსტანტინეპოლი**, 11 (23) ივლისს. 24 ივლისამდის ოსმალოს ჯარის ყოველი მეცადინეობა შესახებ სფაკიაში შესვლისა ამაოთ დარჩა. ბერძნების ცეცხლის-გემს „არკადიონს“ გააქვს კანდიის კუნძულზედ საზრდო და იქიდგან ქალები და ყმაწვილები გამოჰყავს.

— 11 (23) ივლისს. ათინაში მყოფმა ოსმალოს ელჩმა ტელეგრაფით აცნობა პორტას, რომ სულთანის ჯარებმა სფაკიის მაზრა დაიჭირესო, ინსურგენტებმა სფაკიას თავი დაანებესო; ისინი ოსმალებმა დაამარცხეს და მთელი კუნძული ომერ-ფაშამ დაიმორჩილაო.

**ლონდონი**, 15 (27) ივლისს. გუშინდელს დეპუტატთ-პალატის კრებაში, უფ. სეიმური და უფ. რაულისონი თხოულობდნენ, რომ უთუოთ აბისსინიაში ექსპედიცია გაგზავნონ იქ დატყვევებულის ანგლიელების გასათავისუფლებლათ. უცხო ქვეყნების საქმეთ მინისტრმა ლორდმა სტენლიმ პასუხათ მისცა იმათ, რომ ოსტ-ინდოეთის ჯარის აფიცრებს მინდობილი აქვსთო ამ ექსპედიციის პლანი შეადგინონო, მაგრამ ამისი აღსრულებაში მოყვანა მმართებლობაზედ არისო დამოკიდებული.

**ნუ-იორკი**, 14 (26) ივლისს. როგორც შევიტყეთ, მეხიკაში კიდევ დახვრიტეს ამ უკანასკნელს დროში ათი გენერალი, რომლებიც მაქსიმილიანეს ჯარში მსახურებდნენ.

**პარიჟი**, 17 (29) ივლისს. დღეს მონიტორში დაიბეჭდა სტატია, რომელიც სრულებით ამტყუვნებს ხალხში გავრცელებულს ხმასა ომიანობაზედ. ეს სტატია ამბობს, რომ აწმყო დროში ისეთი დიპლომატიური საქმე არა დაწყობილა რაო, რომელსაც შეეძლოსო ფრანციის სხვა სახელმწიფოებთან მშვიდობიანობის კავშირის დარღვევა. ფრანციის ჯარი, რაც იყო, ისევ ის არისო, არაფერი

მომატებიაო; სამხედრო ბანაკები არ დაარსებულანო და ცხენების რიცხვიც შემოკლდება კავალერიაშიო. ბოლოს მონიტერი ამბობს: მმართებლობა იმედოვნებსო, რომ ეს გამოცხადება იმის მხრით ყველა ომიანობის შიშსა გაფანტავსო.

ტფილისში მიღებული.

**პეტერბურგი**, 24 ივლისს. ხელმწიფე იმპერატორი 23 ივლისს მშვიდობიანათ მობრძანდა არიოლში.—ლორდი ვენი, რომელმაც ხელმწიფე იმპერატორს მოართვა ლეკვერთხის ორდენი, მოსკოვში გაჰყვა ხელმწიფეს.—ფინანსის მინისტრმა მიიღო უქაზი, რომელშიაც ნაბძანებია, რომ ნიკოლაევსკის რკინის გზის სამმართველოდგან გამოსცენ 600,000 ობლიგაცია, თვითო 125 მანეთიანი, რადგანაც ეს გზა უნდა გაისყიდოს ვადით—85 წლით.—პოლშაში რეკრუტები ჩვეულებრიევის წესით უნდა მოიკრიფნენ.

**პეტერბურგი**, 27 ივლისს, ხელმწიფე იმპერატორი და დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე 25 ივლისს დილით ნიკოლაევში მობძანდნენ, სალამოზედ ზღვით ლივადიაში წაბძანდნენ.—ჩრდილო-გერმანიის გაზეთებში სწერენ, რომ აღმოსავლეთის საქმე თან და თან უფრო საშიშარი ხდებაო. ხალხის ადგომას ბოლგარიაში უფრო სხვა მნიშვნელობა აქვს, მინამ გაცალკევებულს კანდიის ადგომას. ოსმალოს მინისტრები და დიდი ვეზირი რუშჩუკში წავიდნენ. იქ იქმნება სულთანის რჩევა შესახებ პოლიტიკისა, რომელიც იმათ მომავალს დროში უნდა დაიჭირონ. ლორდმა სტენლმა გამოუცხადა ანგლიის პალატას ოსმალების სასტიკობა კანდიაში, და ამასთანავე წარმოსთქვა, რომ პორტას არ შეუძლიანო მისი მოსპობა. ფრანციის სამხედრო ხომალდებმა და რუსის შკუნამ „ბომბორმა" კანდიიდგან პირეში გადიყვანეს 1,650 ქრისტიანი.

## საშუალო აზიაში მოგზაურობა.

თხზულება არმინი ვამბერისა, თარგმნილი ანგლიური ენიდგან რუსულად, 1865 წ.

1865 წელს რუსულს ენაზე დაიბეჭდა ერთი ვენგრიელის მოგზაურობა შუაგულს აზიაში. იმას რომ ადგილები აუწერია და შემოუვლია, ჯერ იმ ადგილებზე არც ერთს ევროპიელს ფეხი არ დაუდგამს. ვამბერი პატარაობიდგანვე გაზრდილი მაღლად განათლებულს ევროპის საზოგადოებაში დაუტევებს ნათელს ცხოვრებას, ჩაიცვამს დაკონკილს გლახაკის ტანსაცმელს, ფეხ-შიშველა და ტალახ-შემხმარი წვივებითა დაივლის იმისთანა ადგილებს, სადაც მგზავრობა თვითონ იქაურს კაცსაც ძალიან ეძნელება. მთელ თავის მოგზაურობაში ვამბერი დადიოდა უბინაოდ და არც ერთი სანდო კაცი არ ასჩენია. რომ ერთი ნაბიჯი მრუდეთ გადაედგა და ან რომ ერთი სიტყვა წინდაუხედავათ წამოეთქვა, ის იმავ წამს დაიღუპებოდა. ღმერთი რომ გასწყრომოდა და ის ევროპიელად ვისმე ეცნო, მეორე წამს ცოცხალი აღარ დარჩებოდა. ნეტავ რისთვის ითმინა ვამბერიმ მთელი ერთი წლის განმავლობაში აუტანელი შიმშილი, წყურვილი, უბინაობა და შიშის გამო ნიადაგ თმის აბუძგება? ამ კითხვაზედ თვითონ მგზავრი აი რას გვეუბნება? „ვენგრიაში რომ მდინარე დუნაი ჩასდის, იქ რამოდენიმე კუნძულებია. ამ კუნძულებში ერთი ყველაზედ უფრო დიდია. ამ უდიდესს კუნძულზედ რომ პატარა ქალაქია, მე იქა ვარ დაბადებული. სალინგვისტო მეცნიერების სწავლა პატარაობიდგანვე მქონდა გულში ჩავარდნილი და ამისგამო ადრიდგანვე დავიწყე ევროპის და აზიის ცვლილ-ენების (нарѣчія) სწავლა. რათ უნდა იყოს გასაკვირველი, რომ განსაკუთრებითი ყურადღება ჩემ სამშობლოს ენის თვისებას მივაქციე. ყველამ იცის, რომ ვენგრიული ენა ალტაიური ტომის ენებს ეკუთვნის, მაგრამ აქამომდე კი არავინ იცის ტომში ის რომელს შტოს მიეწერება:—ფინნურსა თუ თათრულსა? ამისი გამოძიება ჩვენ ვენგრიელებისთვის მეტად სასურველია მეცნიერების მხრითაც და კიდევ უფრო ნაციონალური შეხედულობით. ამ მიზეზებისაგამო განვიზრახე გამგზავრებულიყავ საშუალო აზიისკენ და ადგილობრივ შემეკრიბა ეს ცნობები...."

ვინც კაცობრიობის სწავლას უმატებს, იმისი სახელი უკვდავად რჩება და ნიადაგ გადიცემა ხოლმე შთამომავლობიდგან შთამომავლობაში. ამ გვარი სახელის დამკვიდრება ვის არ განამხნევებს დიდი ღვაწლის მოსატანად?...მაგრამ ნაციონალური გრძნობა, რომელიც კაცს გულში ჩაუნერგავს შრომის სურვილსა თავის სამშობლოს საკეთილდღეოთ—ეს გრძნობა კიდევ მეტად წააქეზებს ხოლმე ყოველს ევროპელს მემამულეს თავის ქვეყნის წარსამატებლად.

ნაცია, ანუ ერთი ტომის ხალხი ეწოდება იმ ნაწილს კაცობრიობისას, რომელიც ცხოვრებს ერთს რომელსამე მხარეში დედა-მიწის ზურგზე. ის იმყოფება რამოდენიმე ათასი წლობით ერთსა და იმავე ბუნების გავლენაში. ამისგამო იმას მიუღია შესაფერი აგებულება, ჭკუა-გონება და შეუძენია ამ ჭკუა-გონების გამომთქმელი თავისებური ენა. იმას აქვს ორი გვარი თვისება: შ ი ნ ა გ ა ნ ი, რომელიც ჩამჯდარია ამ ტომის თითოეული კაცების შინა-აგებულებაში და ჭკუა-გონებაში; გარეგანი, რომელიც რამოდენათმე აჩვენებს შინაგანს თვისებასა და შეიცავს ამ ხალხის თითოეულს პირის სახესა, ტანის მოყვანილობას და სიტყვიერებას, ანუ სწორედ ვთქვათ ხალხის ენას. ეს თვისებები არიან მიუცილებელნი, ურომლებოთაც ხალხის თვით-არსი ცხოვრება შესაძლებელი არ არის. წაართვი იმას ერთი ზემოხსენებული თვისებათაგანი და ის ხალხი ან სულ გადაგვარდება და ან მოკვდება. ვიტყვით მაგალითს: ბულბული თავისებურად ჰგალობს. ძალადაატანე, რომ თავისებურად აღარ ისტვინოს და ნუ მოეშვები მინამ ყორანსავით ჩხავილი არ დაიწყოს. მაშინ მიუცილებლად ეს უნდა მოხდეს: ბულბული ვერ გაუძლებს ძალდატანებასა და სული ამოხდება. ხალხიც აგრეა. მინამ იმას თავისი განუშორებელი თვისება აქვს, ესე იგი, თავისი ტანის მოყვანილობა, სახე, ენა და ჭკუა-გონება, მინამ ამ ხალხსაც თავისი სახელი ეწოდება და აქვს თვით-არსი ცხოვრება. მაგრამ თუ ამ ხალხს ერთი თავის უდიდესი თვისებათაგანი მოაკლდა, მაშინ ის გადაგვარდება და პირვანდელი ხალხისა არა დარჩებარა. რადგან ყოველი ჩვენთაგანი ცდილობს, რაც შეიძლება, დიდხანს იცოცხლოს და რადგან კაცის ბუნებაა, რომ სიკვდილი ძალიან ეჯავრება; ამისგამო ყოველი კაციც უნდა ცდილობდეს თავის ხალხის კეთილ-წარმატებასა, ესე იგი იმან უნდა გაამჯობინოს და განაძრიელოს ამ ხალხის მიუცილებელი თვისება.... ეს აზრი ძალიან კარგათ ესმისთ ევროპის განათლებულს ხალხებსა; ამის გამო ვინც უნდა იყოს თუნდ ანგლიელი, თუნდ ფრანციელი, თუნდ ამერიკელი, თუნდა იტალიელი და ან ვენგრიელი,—ყველა იმასა ცდილობს, რომ თავის სამშობლოს რითიმე გამოადგეს; ყველას თავის ხალხობით მოსწონს თავი. თუ ხალხი კეთილ-მდგომარეობაშია, მაშინ თითონაც მხიარულად და გულ-მაგრად არის: თუ ამ ხალხს უბედურება შეემთხვა რამე, მაშინ თითოეული მემამულეც სტირს და ცდილობს შეუმციროს თავის სამშობლოსა ცოდვა-ნაკითხი უბედურება..... აი თუნდ თვითონ ვამბერი მოვიყვანოთ მაგალითად. იმას ყმაწვილობიდგანვე შეზრდია მამულის სიყვარული და ამ სიყვარულს ასეთ რიგათ გაუტაცნია, რომ თავის სამშობლო ენის გამოსაძიებლად თავისი თავი თითქმის შეუწირავს, ამისთვის რომ იმან კარგათ იცოდა, რომ მხეცი ხალხი ცოცხალს არ გამოუშვებდა, თუ რომ ის ევროპელად ეცნო ვისმე....

ვამბერიმ რამოდენიმე ხანი დაჰყო ოსმალეთში და, როგორც თვითონ ამბობს, ხშირად დადიოდა ოსმალების შკოლებში მახმადის სარწმუნოების წესის სასწავლელად. იმას მიუცილებლათ ზედ-მიწევნით უნდა ესწავლა საღმრთო წერილი და მიეღო ეფენდის (მღვდლის) სახე, რომ ამ საშუალებით თავისი გვაროვნება და განზრახვა მხეც ხალხში დაემალა. „ოსმალების ოჯახებში რამოდენიმე წელი გავატარე—იტყვის ვამბერი.—ხშირად დავდიოდი ისლამის შკოლებში (მედრესებში), წიგნის სავაჭრო დუქნებში, სადაც ვკითხულობდი მახმადიანურს წიგნებსა და ზოგს კიდეც ვყიდულობდი. მახმადის სარწმუნოება იმდენათ შევიგენი და იმდენათ შევითვისე ოსმალების წესი დაჩვეულება, რომ, ვინც მნახავდა, ყველას ეფენდი ვეგონე. რადგან საშუალო აზიაში მოგზაურობას ვაპირებდი, მიუცილებლად საჭირო იყო, რომ ეფენდის სახე მიმეღო და ისე მემგზავრნა".

### I.

კასპიის ზღვის აღმოსავლეთით მიეფინება თვალგადუწვდენელი ველი. ამ ველზედ აღმოსავლეთით აქა-იქ გაივლის დიდი მთის ზურგები, რომლებიც იწყებიან საშუალო აზიის მთების ნასკულებიდგან. ამ ქვეყანაში ერთი დიდი ტბაა, იმისი წყალი წუთხეა და შიგ ორი დიდი მდინარე-სირდარია და ამურდარია, ჩასდის; თვითონ ტბას არალის ზღვას ეძახიან. კასპიის ზღვის მახლობლად მდებარე მხარე ამა ქვეყნისა უფრო ჭაობიანი და სათიბიანია. ეს ადგილები ველური ღორის ჯოგებით არიან გავსილნი. აღმოსავლეთისაკენ მიწა უფრო თიხიანია და ასეთი მაგარი, რომ აქლემების ფეხებს იმაზედ ტკაცანი გააქვს. ამ თიხიანს მიწაში გუთანი ვერ ისაქმებს. ამას გარდა ადგილ-ადგილ აღმოსავლეთისკენ ასეთი ქვიშიანი უდაბური მინდვრებია, რომ ცხელი ქვიშის მეტი არა მოიძევარა. არც წყალი იშოვება და არც საჩრდილობელი. ხშირად ამ ქვიშიან მინდვრებზედ ამოვარდება ხოლმე საშინელი ქარი, რომელსაც აქ ტ ე ბ ა ტ ს ეძახიან, წამოიღებს ხოლმე ქვიშის სვეტებსა და, თუ მგზავრი შეხვდა, ვაი იმის ბრალი! იმას მიუცილებლად ქვიშის სვეტები დამარხვენ. იმათაც რომ გადაურჩეს, წყურვილს მაინც ვეღარ გადაურჩება. ნაყოფიერი მიწა მხოლოდ იმ ორს დიდ მდინარეების ნაპირებს ჩაუყვება არშიასავით. ამ მდინარეების პირებზედ ცხოვრებს მიწის მომუშავე ხალხი, რომელიც არის უზბეკის ტომისა. აქვე არის ორი სახანო (სახელმწიფო): ბუხარისა და ხივისა. უმეტესი ნაწილი მცხოვრებლებისა ამ ორს სახანოში სულ უზბეკები არიან. სხვა გორებიანი და ჭაობიანი მინდვრები ამა ქვეყნისა უჭირავთ სხვა-და-სხვა ნათესაობის თათრის ხალხებსა, რომლებიც თავის ჯოგებით და კარვებით გადად-გადმოდიან ამ თვალ უწვდომს მინდვრებზედ. ისინი უკან დასდევენ თავიანთ ჯოგებსა, არა აქვთ ერთი ბინა და ეწოდებათ მაწან-წალა ხალხები. ზემოხსენებულს ორ სახანოს გარდა ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით არის მესამე სახანო კოკანისა, რომელიც მდებარებს მთებიან ადგილებში და მშვენიერი ალაგებითაც სავსეა. ამ ქვეყანას სულ ერთად ეწოდება ს ა თ უ რ ქ მ ე ნ ო, თ უ რ ქ ი ს ტ ა ნ ი ანუ თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ს ა თ ა თ რ ე თ ი. აღმოსავლეთის განაპირი ძველიდგანვე დაუმორჩილებია ჩინეთის სახელმწიფოსა და ამ ნაწილს თურქისტანისას ეწოდება ჩ ი ნ ე თ ი ს ს ა თ ა თ რ ე თ ი.

თურქისტანის დასავლეთი ნახევარზედ მეტი თურქმენის ტომს უჭირავს. ეს ხალხია ძლიერ მხნე და კარგი ცხენოსანი. იმათი ცხოვრება და მოძრაობა მხოლოდ [illegible] მდგომარეობს. ის მთა-ბარობს—ანუ [illegible] წალებს: დღეს რომ აქ არის, ხვალ იქ გადიცვლის ბინას და ნიადაგ უკან დასდევს თავის პირუტყვის ჯოგსა. მთელი ტომი განიყოფება, რამოდენსამე გვაროვნებათ და ყოველ გვარს თავისი ადგილი, ანუ მაზრა უჭირავს და იმის სივრცეზედ მთაბარაობს. სადაც მიწა ცოტათ მაინც ნაყოფიერია, მაგალითად სამხრეთით, სპარსეთის საზღვარზედ, იქ ამ ტომის ხალხი კიდეც დაბინავებულა და გამხდარა მიწის მომუშავე. უფრო ძლიერი და გამრავლებული გვაროვნება ამა ტომისა არის თექქიე-თურქმენის გვარი. იმათ თავი არა ჰყავთ და ვერავითარს მთავრობასაც ვერ შეითვისებენ. ყოველი იმათგანი ამ აზრის არის: „ჩვენ თავი არ გვინდა; ყოველი ჩვენთაგანი თვითონ თავია, თვითონ ხელმწიფეა". თუმცა არიან მაგალითად აყსაყალები მოხუცებული და პატივცემული კაცები, რომლებსაც ჭკუით და ახოვნებით თავის გვარზედ გავლენა მოუპოვებიათ. მაგრამ თუ რომ იმათაც მომეტებული რამ მოითხოვეს, მაშინ ისინი დაჰკარგვენ ხოლმე გვარში ყოველრიგს პატივისცემას და იმათს რჩევას ყურსაც აღარავინ უგდებს. რუსის მთავრობა ბევრჯელ აჯილდოვებდა ამ აყსაყალებს ფულით და ნივთით, რომ იმათი გავლენით დაემშვიდებინა ეს ხალხი და ხელში მოეგდო, მაგრამ ამ შემთხვევაში აყსაყალების მეგობრობას სარგებლობა არა მოუტანიარა; რაკი თურქმენები გაუგებდნენ აყსაყალებს ვერაგობასა, ისე პატივსაც აჰყრიდნენ ხოლმე.

ამ ხალხის დაწყობილებას რომ ვინმე თვალ-ყური ადევნოს, მაშინვე ამას იფიქრებს, რატომ ერთი ერთმანეთს არ დასჭამენო, რადგან აქ არავითარი მთავრობა არ მოიძევებაო. მაგრამ საკვირველი ეს არის, რომ იმათში კაცის კვლა, ქურდობა და ზნეობის შერყვნა ძვირად მოხდება, ვინემ იმ აზიის ხალხებში, სადაც საზოგადო წყობილება არსებს და სადაც ერთია ქვეყნის ბატონი. საზოგადო მთავრობის მაგივრად ამ ხალხშია ჩვეულებითი წეს-დება, რომელსაც ემორჩილება ყოველი თურქმენი და რომ მოჰკლა, ის თავის ჩვეულებითი სჯულის წინააღმდეგს მაინც არა იქმს. ამ ჩვეულებითი სჯულსა თურქმენი უწოდებს „დება".

თურქმენის ხალხი აღიარებს ისლამსა, ესე იგი მაჰმადის სარწმუნოებასა, მაგრამ ყურანს დიდი ცვლილება არ მოუხდენია იმათს შინა-ცხოვრებაში. თურქმენის ხალხი უფრო იმ ჩვეულებას და წესს მისდევს, რომელიც კერპთ-თაყვანის მცემლობის დროს ჰქონია ხალხსა; ის ხან-და-ხან არ იშლის ალამობას (მტაცებლობას). თუმცა მაჰმადის სარწმუნოება უარს ჰყოფს ღამით სოფელზედ თავს-დაცემას და მგზავრის გაცარცვას, მაგრამ თურქმენი ამ შემთხვევაში უფრო ემორჩილება თავის „დების" ხმასა, მინამ ყურანის დარიგებას. ხშირად მოხდება, რომ რამოდენიმე თურქმენი, ან მთელი ერთი გვარი განიზრახავს რომელსამე სოფელზედ დაცემას, ან მიმავალ ქარავნის გაცარცვას. ყოველი კაცი, რომელიც ამ საქმეში ურევია, ძალიან ფარულად ინახავს გულში თავის აზრსა. როგორც კი სარდალი ანუ თავი კაცი მიიღებს ფატიხას (ლოცვა-კურთხევას) რომელიმე მოლლისაგან, ყველანი იმავ-წამს განემგზავრებიან სხვა-და-სხვა გზით და შეიყრებიან დანიშნულ ადგილზე. არჩეულს სოფელს შუაღამისას დაეცემიან ხოლმე და, თუ ქარავანია, მაშინ მზის ამოსვლის დროსა. ამ გვარი გამგზავრება, რასაკვირველია, ყოველთვის სასაშიშროა და, როდესაც თთურქმენის გვარი მიდის ალამზე, იმას წინ-და-წინვე გულში ეს დარიგება აქვს: „ერთხელ მიდი, მეორეთ კიდევ და მესამეთ უკან დაბრუნდი".

„ჩვენ მივდიოდით ბუხარის გზაზე—იტყვის ვამბერი. დაბინდდა თუ არა, ჩვენ შევხვდით

ორს ტიტველს კაცსა, რომლებიც მაშინათვე ძირს დაეცნენ, როგორც კი დაგვინახეს, და საწყლად ყვიროდნენ: „ღმერთს მიჰმადლეთ, ნატეხი პური მოგვაშველეთ, ნატეხი პური“. ისინი თურქმენებს გაეცარცვათ და, რაკი პურით ცოტა სული მოიდგეს, ერთმა იმათგანმა დაგვიყვირა: ახლათ-ახლავე ან უკანვე გაიქეცით და ან სადმე დაიმალეთ, თორემ სადაც არის, თურქმენები თავზედ წაგატყდებიანო. ჩვენ იმავ წამს ქარავანი უკან გამოვაბრუნეთ და შეუსვენებლათ ისევ „იუნიკლუში“ მივირბინეთ. ეს არის პატარა სოფელი ბუხარიის გზაზე. მეორე დღეს ქარავანმა არჩია სხვა გზით წასვლა; ჩვენ უნდა გადაგვევლო ქვიშიანი მინდორი და ამის გამო რამდენიც შეგვეძლო, იმდენი წყალი წავიღეთ სასმელად. ქვიშიანს მინდორზე სამი დღე ვიარეთ. პირუტყვებმა მეტი ველარ შესძლეს და ამის გამო მეოთხე დღეც ამ ქვიშიანს ადგილზედ უნდა დარჩენილ-ვიყავით. ექვსი ღა სტაქანი წყალი დამრჩა; თითქმის წვეთ-წვეთად ვიზოგავდი, თუმცა წყურვილი საოცრად მაწუხებდა. ენამ გაშავება დამიწყო. ამან ასეთ ნაირად შემაშინა, რომ ნახევარი სტაქანი წყალი ერთად გადავკარი, მაგრამ ვაიმე!... ტანჯვა უფრო მიძლიერდებოდა და კიდეც ვატყობდი, თუ რა რიგათ მერთმეოდა ღონე თან-და-თან. ამ დროს კერვან-ბაშიმ (ქარავანის უფროსმა) შორს მტვერი დაინახა და დაგვიძახა, რომ აქლემებიდგან საჩქაროდ ჩამოხდომილვიყავით. აქლემებმა როგორც კი დაინახეს საზარელი ტ ე ბ ა ტ ი, მაშინვე ყვირილი გააბეს, დაიჩოქეს და თავები მიწაში წარგეს. ჩვენ აქლემებს ამოვეფარეთ უკან. ქარმა ზუილით და სტვენით თავზე გადაგვიარა. ცხელი ქვიშის ნაწილები ნაბერწკალსავით პირის კანს მიწვავდნენ. ქვიშა ორი თითის სისქეზედ დაგვეყარა. შვიდი მილით რომ უკან დარჩენილვიყავით, ტ ე ბ ა ტ ი მიუცილებლად საუკუნოდ დაგვმარხავდა. საღამოზე ერთი აუზი ვნახეთ. თუმცა ჩვენთვის სასმელათ არ ვარგ იყო, მაგრამ პირუტყვებმა მაინც წყურვილი მოიკლეს. საშინელი სიცხე სწვავდა ჩემს გულ-გვამს. ულონო კალმით როგორ შემიძლიან ავწერო ის ტანჯვა, რაც წყურვილის გამო მე მომდიოდა. აქამომდე, როგორც იყო, კიდევ გულ მაგრად ვითმენდი; მაგრამ ახლა სულ მოვეშვი: მეგონა სიცოცხლეს ვეთხოვებოდი საუკუნოდ. მიმეთვლიმა. მეორე დილას, როცა თვალები გამოვაჭყიტე, ვიცანი, რომ კარავში ვიყავი და გარს გძელი წვერიანი კაცები თავს დამტრიალებდნენ. ისინი მასმევდნენ წყალში გაქნილს მარილიანს მაწონსა და ამითი მომაბრუნეს. ეს კაცები იყვნენ სპარსელები, რომლებიც ტყვედ წაუყვანიათ თათრებსა. ისინი ბუხარადგან გამოეგზავნა პატრონს აქეთკენ ჯოგის სამწყესავათ. თურქმენები და სპარსელები დიდი მტრები არიან ერთმანერთისა. როგორც ძაღლები, ისე ისინი ერთმანერთს არ დაინდობენ. ორივე ხალხი მაჰმადის სარწმუნოებას აღიარებს, მაგრამ თურქმენები სუნიტები არიან და სპარსელები შიიტები“.

II.

თურქმენების შინა ცხოვრება ჩვენთვის იმითი უფრო შესანიშნავია, რომ ზოგში ის მიემგზავსება აბხაზების და სამურძაყანოელების ცხოვრებასა. თურქმენის სიმდიდრე არის იმისი ცხენი; დედას გაჰყიდის, ცოლს დაწინდრებს, თავის თავს გასწირავს და თავის ცხენს კი არა. ცხენი იცავს იმის სიცოცხლესა, როცა ის საღამოთი გასაცარცვავათ წავა, ცხენი იმისი გამამდიდრებელია-ნაშოვრობით; ცხენი იმისი გამომჩენია ტოლსა-და ამხანაგში. თურქმენი, თუ შინ არის, სრულებით არას გააკეთებს. დღე-დღე შიგნით კარავში სძინავს, როცა საღამო მოაწევს ის გამოვა მინდორზე და შეუერთდება იქ მოგროვებულს თურქმენებსა. ამათი სალაპარაკო სულ ცხენის ამბებია. თუ ეს არა, მაშინ დაუწყებენ ქებას რომელსამე სარდალსა, ვინაც მარჯვედ მოქცეულა ალამობაში და ბევრი ტყვეები წაუყვანია. ზამთარში, როცა ყოველი თურქმენი თავის კარავში განისვენებს, ხან-და-ხან შეიყრებიან ხოლმე მეზობლის კარავში და ზღაპრებით თავს იქცევენ. ამ დროს აბოლებული ჩიბუხი რიგრიგად ერთი-მეორეს ხელში გადადის. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ამგვარს წრეს გაამხიარულებს ვინმე მეჭიანური, რომელიც სახალხო ლექსებს ყელში ამოუკიდებს და ასეთ ალტაცებაში შეიყვანს თურქმენის პატარა ბიჭებსა, რომ ისინი დაახლიან ხოლმე ძირს თავ-თავიანთ ქუდებსა, თმა აებუძგებათ, პირზედ წამოწითლდებიან და ისე გიჟობენ, თითქო უნდოდესთ ვისმე შეებან, რომ მოწინააღმდეგეს დაუმტკიცონ თავიანთი სიყოჩაღე და სიმამაცე ამ გვარი მამაცური ლექსები ზრდის ნიადაგ თურქმენის ახალ-გაზრდობასა. მამა აი რა სიტყვებით უსაყვედურებს ხოლმე თავის შვილსა: „ბასწი დაიკარგე!... მე შენში მეზარალა! შენგან ხეირი არა გამოვარა. აი მეზობლის ახალ-გაზდა ჯერ შენზე პატარაა, მაგრამ ორი სპარსელი ჰყავს ტყვედ წამოყვანილი!“ უნდა ვთქვათ, რომ თურქმენებს სპარსელები თვალში დასანახავად ეჯავრებათ. თურქმენმა იცის, რომ სპარსელი იმაზედ უფრო განათლებულია, მაგრამ ესეც კარგათ იცის, რომ სპარსელი ძალიან მხდალია. თურქმენი ამბობს: „ღმერთს სპარსელისთვის გონება და თვალები მიუნიჭებია, მაგრამ გული (ესე იგი გულადობა) კი არაო“.

თურქმენელი ცხოვრებს თავის კარავში, რომელიც ზამთარ თბილია და ზაფხულ-გრილი. კარების გვერდებში ხშირად ასეთი სასაშიშრო ქარის ზუილია ხოლმე, რომ გეგონება, ეს არის, თურქმენს ზედ გადააგლეჯსო ქარი თავის კარავსა. მაგრამ ის დაიმედებულია მაგარს ბაწრებზე და ტკბილათ სძინავს. თვითონ ეს ქარი სტვენით და ზუილით თითქო ნანას დამღერისო მძინარს თურქმენს. იმას ამ გვარს კარავს უკეთებს თავისი ცოლი; თვითონ კი, როცა სახლშია, ნიადაგ წამოწოლილია და ხელს არ გაანძრევს. ის ხან და-ხან ცხენს წაიყვანს ხოლმე წყალზედ მუდამ დღე ორჯელ იურევს, სწმენდავს და ძლიერ აპატივებს თავის ცხენსა. რომ ცუდი თვალისგან იხსნას, კისერზე ღ რ ი ნ ჭ ი ლ ე ბ ს შეაბამს ხოლმე. ქალსა და კაცს წითელი დარაიის პერანგი ძლიერ უყვართ, სხვას ქალები არც კი არას იცმენ ტანზე. დღესასწაულს ქალი გძელ დარაიის პერანგზე შემოირტყამს ხოლმე გძელს შალის სარტყელს და წინ სარტყლის ფოჩები ძირამდის მიფრიალებს. ქალს ძლიერ უყვარს გულზე ღილების შებმა და, როცა დადის ამ მეტალის ღილებს გულზე რაჩხა-რუჩხი გააქვს. როცა ახალ-გაზდა ცოლს დაინიშნავს, პატარძალი ცხენზე უნდა შეჯდეს და ხელში ნეზვი ცხვარი უნდა დაიჭიროს; ამ სახით ის ცხენს უნდა მიაჭენებდეს. იმას გამოუდგებიან ცხენებით საქრმო და ქალის ნათესავები. ქალმა იმდენზედ არ უნდა მიიკაროს კაცი, რომ ცხვარი წაართვას. ა მ ა ს მ წ ვ ა ნ ე მ გ ე ლ ს ეძახიან. ამისთანა ჩვეულება სხვაგან არსად არის. ჯვარს რომ დაიწერენ, ოთხი დღის შემდეგ ცოლ-ქმარს გააშორებენ ერთმანერთთან და წლამდის ერთად შეყრა აღარ შეუძლიანთ.

თუ სახლში ვინმე მოკვდა მეზობლები და ნათესაობა შეიყრებიან ხოლმე მიცვალებულის ოჯახში და სტირიან მოთქმით ხმა-მაღლა. ამ გვარი ყრილობა მოხდება ხოლმე ყოველ დღე და დაიწყებენ გოდებას იმ წუთას, რა დროსაც განსვენებულს სული ამოხდა. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ამ გოდებაში ქალი და კაცი თავიანთ საქმეს აკეთებენ. ამ ამბავში თვითონ სახლის პატრონი შეექცევა თავის საჭმელსა. ეს ჩვეულება აქამომდე არ გადავარდნილა სამეგრელოშიაც. თუ ვინმე სახელ-განთქმული სარდალი მოკვდა, იმის საფლავზე ყოველმა გამვლელ-გამომვლელმა შვიდი მუჭა მიწა უნდა დააყაროს. ამ სახით თუ სარდალი ძალიან მამაცი და ახოვანი ყოფილა, იმის საფლავზე მაღალი გორაკი გაკეთდება. თურქმენების სასაფლაოზე მრავალი ამისთანა გორაკებია. ყოველმა იმათგანმა იცის ამ გორაკების ქვეშ ვინ და ვინ განისვენებს.

ვუძღვნი ა. ფ.

ოჰ, ქართველო, რა კაცი ხარ!
ეს რასა ჰგავს, ერთი მითხარ?
შენი ჯიბე თუ სავსია,
არ ვის აგდებ არაფრათა,
ცა ქუდათ არ მიგაჩნია,
დედა მიწა ქალამნათა!

მაშინ შენმა თანამოძმემ
მძიმეთ თავი რომ დაგიკრას,
სალამსაც ხომ აღარ მისცემ,
მიაგდებ მას კედლის ძირას.

მაგრამ თუ რომ სილარიბე
ეწვია მაგ შენსა ჯიბეს,
ყველასთან თავს იკატუნებ,
ჩემო ძმაო ,ვინც უნდ იყვეს!

მამულიც კი მაშინ გიყვარს,
მოძმეს ეტრფი აშიკივით,
მაგრამ გული შიგნით გიყარს,
ძმასთან ჰრელობ გველისავით.

უცხო ტომი თითქოსო გძულს,
როგორც ერთი დიდი ჭირი,
აბა ახლა მოგცენ რამე,
როგორ გახდე მათთვის გმირი;

მათთვის მტერსაც ხრმლით იგერებ,
მოყვარესაც ემოყვრები,
ოღონდა კი მოგცენ რამე,
ხანჯლის წვერზედ დაეგები!

ეჰ, ქართველო, რა კაცი ხარ!
ეს რასა ჰგავს, ერთი მითხარ?

თუ ისწავლე ანაბანა,
იმ წამს ჩემობ განათლებას,
ალაგიც გსურს იმისთანა,
შეეწიო რომ ძმას ყველას;

რომ დაიცვა ამხანაგი,
ულმრთოებას ვინც გაბედავს,
აბა, მოგცენ შენ ალაგი,
მაშინ ზედაც არ შეხედავ!...

(მაშინ გიყვარს შენ მამული
და გძულს, ძმაო, უცხო ტომი,
როდესაც ხარ დაჩაგრული,
როს ბედთან გაქვს მწარე ომი.

მაშინ გიყვარს თანამოძმე,
როს არა გაქვს ცალი ფული,
აბა მოგცენ ჯილდო რამე,
როგორ გახდე ძმის ორგული!)

მაშინ ქართველი ვინ არი,
რაკი ნახავ ტფილსა ალაგს,
შენი სამშობლო ის არი,
საცა ნახავ ჩინის ბანაკს.

ბევრს დაეძებ ქართველებსა,
თუნდ შენს თვითან მამულსაცა!...
აგერ შენებრ იუდამაც
ხომ, ჩემო ძმავ, ქრისტე გასცა!...

ეჰ, ქართველო, რა კაცი ხარ!
ეს რასა ჰგავს, ერთი მითხარ?

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ი. პერესელიძე.

1867 წელსა, 9 ივნისს.
სოფელს წოდორეთში.

სახაზინო განცხადება.

(Закавказскій Вѣстникъ № 59).

5) ზაკავკასიის პრიკაზში ამ წლის 27 ოქტომბერს მოხდება ტორგი გასასყიდათ მამულებისა, რომელნიც ქვემოხსენებულს ტფილისის უეზდის მებატონეებს ეკუთვნიან. ეს მამულები იმისთვის ისყიდება, რომ მათმა პატრონებმა არ შეიტანეს პრიკაზიდგან გამოტანილის შემდგომის სესხის სარგებელი: 1) თ. გიორგი სოლომონის ძემ ხიმშიაშვილმა—3,000 მან., რომლის გირაოთ არის მისი ვენახი სოფელს ბულაჩაურს: 2) გენერალ—ლეიტენანტმა თ. ივანე მალხაზის ძემ ანდრონიკაშვილმა—16,000 მან., რომლის გირაოთ არის იმისი მამულები სოფელს ლაჩბადინს. 3) აზნაურებმა სალომ, ზაალმა და აბრამ რაფაილის ძეთა ფარეშიშვილებმა 800 მან., რომლის გირაოთ არის იმათი მამული ს. ჭოპორტს. 4) აზნ. სვიმონ მიქელასძემ მიქელაშვილმა—700 მან., რომლის გირაოთ არის იმისი მამული სოფელს თხინვალს და 5). სალომე და ნატალია ავაქოვის ასულთ დარჩინოვებმა—2,700 მან, რომლის გირაოთ არის იმათი ვენახი ს. ავჭალას.

8) ამავე პრიკაზში მოხდება ტორგი ამ წლის 2 ნოემბერს გასასყიდათ ქვითკირის შენობაებისა, რომელნიც ეკუთვნიან ქვემოხსენებულს ტფილისის მცხოვრებლებს. ეს შენობაები იმისთვის ისყიდება, რომ მათმა პატრონებმა არ შეიტანეს პრიკაზიდგან გამოტანილის შემდგომის სესხის სარგებელი: 1) მინას ბეგლიაროვმა —6,000 მან., რომლის გირაოთ არის იმისი სახლი ნავთლუღში. 2) სამსახურიდგან გადამდგარმა უნტერ—აფიცერმა საფარ ბაღდანოვმა—18,750 მან., რომლის გირაოთ არის იმისი სახლი 1 ნაწილში გალავინის პროსპექტზედ; 4) კოლლეჟსკის ასსესორმა ვასილ ათანასეს ძემ ათანასოვმა—600 მან., რომლის გირაოთ არის იმისი სახლი 1 ნაწილის 1 კვარტალში; 5) გრიგოლ ნიკოლოზის ძემ მიკირტუმოვმა—2,500 მან., რომლის გირაოთ არის იმისი სახლი 3 ნაწილის 1 კვარტალში, 6) პოდპოლკოვნიკმა მეითი—ბეგ—მირზა—ისმაილ—ვეზიროვმა—8,000 მან., რომლის გირაოთ არის იმისი სახლი 2 ნაწილის 4 კვარტალში. 7) ნადვორნი სოვეტნიკის ცოლმა ნინო აივაზოვის ქალმა—3,750 მან., რომლის გირაოთ არის იმისი სახლი და დუქანი 2 ნაწილის 1 კვარტალში. 8) ოსეფ სვიმონის ძემ ავაკოვმა—350 მან., რომლის გირაოთ არის იმისი სახლი 3 ნაწილის 1 კვარტალში. 9) მეფისაშვილის ქვრივმა ნატალია ანდრიას ასულმა—4,000 მან., რომლის გირაოთ ადის იმისი დუქნები 2 ნაწილის 3 კვარტალში. 10) გრიქურ არაქელას ძემ არაქელოვმა—800 მან., რომლის გირაოთ არის იმისი სახლი 3 ნაწილის 1 კვარტალში. 11) სოსი გრიქურას ძემ გრიქუროვმა—500 მან., რომლის გირაოთ არის იმისი სახლი 3 ნაწილის 1 კვარტალში. 12) ოჰანეზ აფრიამას ძემ აფრიამოვმა—1,200 მან., რომლის გირაოთ არის იმისი სახლი 3 ნაწილის 1 კვარტალში. 13) ხეჩო გორგას ძემ გორგაძემ—380 მან., რომლის გირაოთ არის იმისი სახლი 4 ნაწილის 2 კვარტალში. 14) სამსახურიდგან გადამდგარის კანდიდატის ფომინის ქვრივმა ევდოკიამ და პრაპორშჩიკის ვასილ ტრეტიაკოვის ცოლმა ანნამ—700 მან., რომლის გირაოთ არის იმათი სახლები 1 ნაწილის 2 კვარტალში. 15) არუთინ სტეფანეს ძემ სტეფანბეგოვმა—900 მან, რომლის გირაოთ არის იმისი სახლი 4 ნაწილის 2 კვარტალში და 16) ისაია აბრამის ძემ აბრამოვმა—1,000 მან., რომლის გირაოთ არის იმისი სახლი 4 ნაწილის 1 კვარტალში.

საბიბლიოგრაფიო ცნობა.

მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში ტფილისში, ხანის ქუჩაზე, პოლიციის გვერდით, თ. მ. ბებუთოვის სახლში ისყიდება „ჩონგური“, ნ. ბარათაშვილის, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის და სხვა მწერლების ლექსების კრება, შედგენილი კ. ლორთქიფანიძისაგან. ფასი 1 მანეთი.

კერძოობითი განცხადება.

რომელიც შორაპნის უეზდში დებულების ოქმებს ადგენდა, ის უცხადებს ქუთაისის გუბერნიის მიროვის პოსრედნიკებს, რომ იმას ჰსურს კიდევ მიიღოს შრომა ამ საქმეში. ამისთვის ის ითხოვს, რომელიც თანა-მშრომელს ეძებს, მოიწეროს „დროების“ რედაქციაში ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Время“.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4-го августа 1867 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი გ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.